

**მემორანდუმი თანამშრომლობის შესახებ**

ქ. თბილისი

30 ოქტომბერი, 2019

ერთი მხრივ, ა(ა)იპ აისეკ საქართველო (შემდგომში აისეკი), წარმოდგენილი მისი პრეზიდენტის ნინო გოგობიას (პ/ნ 62009004852) სახით და მეორე მხრივ შპს ინტელექტისა და განათლების საერთაშორისო ცენტრი (შემდგომში ISIE), წარმოდგენილი მისი დამფუძნებლის გიორგი დოლიძის (პ/ნ 01027035876) სახით გამოვთქვამთ მზადყოფნას ამ მემორანდუმის ფარგლებში ახალგაზრდობისა და საგანმანათლებლო სფეროში თანამშრომლობის შესახებ და ვთანხმდებით შემდეგზე:

**მუხლი 1. მემორანდუმის საგანი**

1.1. მემორანდუმის საგანია მხარეთა ურთიერთთანამშრომლობა ახალგაზრდობისა და საგანმანათლებლო სფეროში, ერთობლივი პროექტების განხორციელება, რაც გულისხმობს პიროვნული განვითარების სემინარებისა და გაცვლითი პროგრამების ორგანიზებას.

**მუხლი 2. მემორანდუმის მიზანი**

- 2.1 საქართველოს ახალგაზრდობის პიროვნული და პროფესიული განვითარება;
- 2.2. ქართველი ახალგაზრდებისათვის საერთაშორისო პროგრამების ხელმისაწვდომობის გაზრდა;
- 2.3. პიროვნული განვითარების სემინარების ჩატარება შერჩეული ახალგაზრდებისათვის, რომელსაც ორგანიზაცია ISIE უკეთებს ორგანიზებას;
- 2.4. სემინარის მონაწილეთა ჩართვა საერთაშორისო მოხალისეობრივ გაცვლით პროგრამაში, რომელსაც აისეკი უკეთებს ორგანიზებას.

**მუხლი 3. მხარეთა უფლება-მოვალეობები****3.1. აისეკის შესახებ**

3.1.1. (ა)პიროვნული განვითარების სემინარი გულისხმობს გამოცდილებას სადაც:

- ახალგაზრდებს ეძლევათ საშუალება გამოიკვლიონ საკუთარი პიროვნების სისუსტეები, ძლიერი მხარეები, პოტენციალი, უნარები და ინტელექტის დონე, რომ შემდგომში ეფექტურად მოახდინონ თვით-იდენტიფიცირება, თვით-რეალიზაცია და ლიდერული უნარ-ჩვევების სრულყოფა.
- სემინარი მოიცავს რვა სესიას: მსოფლხედვის ჩამოყალიბება, ღირებულებები და ხედვა, მიზნის დასახვა, ლიდერული უნარჩვევები, დროის მართვა, თვით-რეალიზაცია, ეფექტური კომუნიკაცია, შემაჯამებელი სემინარი.



*3.2 აიესის სემინარი არ გულისხმობს შემდეგს:*

- აკადემიური ღირებულების (კრედიტი, ა.შ.) მიღებას, რომლის წარდგენაც შესაძლებელია აკრედიტაციის მქონე სასწავლებელში.

**3.3. აიესის როლი და პასუხისმგებლობები**

*3.3.1. აიესის მოსამზადებელი ჯგუფის პასუხისმგებლობები*

- შესარჩევი ტურის ჩატარება, სადაც შეირჩევა ჯგუფი „პიროვნული განვითარების სემინარისთვის“.
- რვა სესიის ჩატარება ყოველ სამუშაო დღეს, სადაც თითოეული სესია გასტანს საათ ნახევარს.
- სესიის ფარგლებში მიღებული მონაწილის პირადი ინფორმაციის დაგროვება და ასლის შექმნის გარეშე, კონფიდენციალურად მხოლოდ მონაწილისთვის გადაცემა რვა სესიის დასრულებისთანავე.
- სესიების დასრულებიდან არა უგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა გადასცეს მონაწილეს „პიროვნულ განვითარების სემინარში“ მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატი;
- პროექტის რეკლამირების დროს აისეკის როგორც პარტნიორი ორგანიზაციის პოზიციონირება;
- აისეკის გაცვლითი პროგრამების შესახებ მონაწილეთათვის სწორი ინფორმაციის მიწოდება;
- სარეკლამო მასალის გამოყენებამდე აისეკის წარმომადგენლისგან დასტურის მიღება.


**3.4. აისეკის შესახებ**

*3.4.1 აისეკის გაცვლითი პროგრამა გულისხმობს:*

- უცხო გარემოში პრაქტიკული უნარჩვევების დახვეწასა და სხვადასხვა მეთოდებით დინამიურ პერსონალურ განვითარებას.
- ინტერაქციას მასპინძელი ქვეყნის სოციალური განვითარების საკითხებში და სპეციფიურ ლოკალურ პროექტებში ჩართვას.
- პირადი და კარიერული განვითარების გეგმის შემუშავებას და შემდეგი განვითარების შესაძლებლობის შეთავაზებას.

*3.5 აისეკის გაცვლითი პროგრამა არ გულისხმობს შემდეგს:*

- არდადეგებს და დასვენების შესაძლებლობას
- საზღვარგარეთ დასაქმების საშუალებას ან მუდმივი საცხოვრებლის პოვნის შესაძლებლობას. იმ შემთხვევაში, თუ აისეკის პარტნიორი ორგანიზაცია/კომპანიის მიერ იქნება ამ ტიპის შეთავაზება მონაწილისადმი, აისეკი არ იღებს ფასილიტაციის პასუხისმგებლობას და მონაწილე დამოუკიდებელია გადაწყვეტილების მიღებაში.





**მუხლი 4. კომუნიკაციის წესები**

- 4.1. მხარეები თანხმდებიან, რომ ორგანიზაცია აისეკიდან შეთანხმებასა და კომუნიკაციაზე მთავარი პასუხისმგებელი პირი არის აისეკ საქართველოს გაცვლითი პროგრამების მენეჯერი.
- 4.2. მხარეები თანხმდებიან, რომ ISIE-დან შეთანხმებასა და კომუნიკაციაზე მთავარი პასუხისმგებელი პირი არის ISIE-ს პიროვნული განვითარების სემინარის მენეჯერი.
- 4.3. თანამშრომლობის განმავლობაში ყოველგვარი ინფორმაცია უნდა შეთანხმდეს ზემოთ ხსენებულ პირებს შორის;
- 4.4. თანამშრომლობის აღსრულების დროს გაჩენილი გადაუდებელი პრობლემების შემთხვევაში მხარეები მიმართავენ ზემოთ აღნიშნულ პიროვნებებს;
- 4.5. თანამშრომლობის ფარგლებში არსებული ინფორმაცია, რაც შეიძლება დაკავშირებული იყოს ორგანიზაციების შიდა ინფორმაციასთან კონფიდენციალურია და მისი განხილვა ნედარადთულია მხოლოდ ორგანიზაციების მოქმედ დირექტორებს ან ზემოთ აღნიშნულ პირებს შორის;
- 4.6. ორგანიზაციებს შორის შესაძლო თანამშრომლობა სხვა პროექტების ფარგლებში განხილულ უნდა იყოს ორგანიზაციის მოქმედ დირექტორებს შორის.

**მუხლი 5. დასკვნითი დებულებები**

- 5.1 მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ, მასზე ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2022 წლის 17 იანვრის ჩათვლით;
- 5.2 მემორანდუმის მოქმედება შეიძლება ვადამდე შეწყდეს, ერთ-ერთი მხარის მიერ გამოვლენილი ნების საფუძველზე. აისეკის შემთხვევაში აისეკის მიმდინარე და არჩეული თავმჯდომარის (პრეზიდენტების) თანხმობის საფუძველზე თავმჯდომარის არჩევნიდან 1 თვის ვადაში. აისეკის შემთხვევაში სამუშაო წლის 1 იანვრიდან 1 თებერვლამდე. მემორანდუმის შეწყვეტის მსურველი მხარე ვალდებულია, მეორე მხარეს წერილობით აცნობოს ამის შესახებ, შეწყვეტამდე 1 სამუშაო კვირით ადრე;
- 5.3 ამ მემორანდუმის გაუქმების შემდეგ, მხარეებმა უნდა განახორციელონ ყველა შესაბამისი და აუცილებელი ღონისძიება მემორანდუმის ფარგლებში უკვე დაწყებული ღონისძიებების დასასრულებლად;
- 5.4. მხარეები ვალდებული არიან საიდუმლოდ შეინახონ და არ გაახმაურონ მემორანდუმის მიზნებისათვის და მის ფარგლებში მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია, ასევე, ინფორმაცია ერთობლივი პროექტების შესახებ. მხარეებს არ აქვთ უფლება ეს ინფორმაცია გაანდონ მესამე პირს, ნებისმიერი სახით გამოიყენონ იგი საკუთარი ინტერესების სასიკეთოდ ან გახადონ იგი საჯარო, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მხარეთა შორის მოხდება შეთანხმება;
- 5.5. მემორანდუმი შედგენილია ორ ეგზემპლარად ქართულ ენაზე. თითოეულ მხარესთან ინახება ხელმოწერილი მემორანდუმის თითო ეგზემპლარი.




6. მხარეები

  
ნინო გოგოლაშვილი

თავმჯდომარე (პრეზიდენტი)



  
გიორგი დოლიძე

დირექტორი (დამფუძნებელი)



აიპ აისეკ საქართველო  
NLE AIESEC Georgia

200215338

აისეკის საბანკო რეკვიზიტები:

საბანკო კოდი: TBCBGE22

ანგარიშის ნომერი: GE06TB7173636020100007

ბანკი: ს.ს. „თიბისი ბანკი“

შპს აისეკ ინტელექტის და განათლების სერტიფიკაციის სკოლა  
LLC ISIE International School of Intellect and Education  
404412845

აისეკის საბანკო რეკვიზიტები:

საბანკო კოდი: TBCBGE22

ანგარიშის ნომერი: GE78TB7685736080100004

ბანკი: ს.ს. „თიბისი ბანკი“